

მომხმარებელთა უფლებების დაცვა წინასახელშეკრულებო ეტაპზე
ელექტრონულად დადებული ხელშეკრულების დროს

მელანო სვანიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს)
სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ქეთევან ანდლულაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მელანო სვანიძე

01.07.2016

აბსტრაქტი

ელექტრონული ვაჭრობის სფეროს წარმატება ნებისმიერ ქვეყანაში ძირითადად დამოკიდებულია, თუ რამდენად არის ქვეყნის სამართლებრივი გარემო წინასწარგანჭვრეტადი და შესაბამისი ონლაინ მომხმარებლის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. იმისათვის, რომ ელექტრონული ვაჭრობის სფერომ მიაღწიოს სრულ პოტენციალს მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ ეფექტური დაცვა ონლაინ ვაჭრობის დროს და მათი პირველადი უფლებები შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს თუ როგორ არეგულირებს კანონმდებლობა ელექტრონული ხელშეკრულებების მომხმარებელთა უფლებებს ელექტრონული ვაჭრობისას და რამდენად შესაძლებელია ყურადღებას უთმობს ქართული კანონმდებლობა ელექტრონული ვაჭრობის სფეროს, მომხმარებელთა უფლებებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე.

ასევე ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეული იქნება, როგორ უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოწესრიგება, რომ მომხმარებელთა უფლებები ელექტრონული ვაჭრობის დროს საქართველოს კანონმდებლობით უკეთ იყოს დარეგულირებული და მოხდეს მომხმარებელთა ნდობის გაზრდა ელექტრონული ტრანზაქციების მიმართ. ნაშრომის მიზანი არ არის, რომ უზრუნველყოს საბოლოო პასუხი ყველა კითხვასა და გამოწვევებზე რაც ელექტრონულ ვაჭრობას ეხება, არამედ მოახდინოს იდეტიფიცირება ძირითადი კომპონენტებისა და მიწოდებული იქნეს პერსპექტივები და რეკომენდაციები საკითხის მოგვარების კუთხით.

სამიუბო სიტყვები: ელექტრონული ვაჭრობის სამართალი. მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ელექტრონული ხელშეკრულებები. მომხმარებელთა უფლებების დაცვა წინასახელშეკრულებო ეტაპზე. ნების გამოთხოვა.

Abstract

Nowadays it is considered that the success of e-commerce in any country depends mainly on the suitability and predictability of the legal system and whether such system regulates and matches with the needs of online consumers. For e-commerce to be successful and coherent, consumers must have effective protection on distance contracts when shopping online, and their primary rights should be respectively protected. This thesis analysis how Electronic Transactions Law deals with such rights and determines if this law gives due attention to consumer protection in Georgian legislature in electronic contacts and during pre-contractual relationship. Moreover, this thesis investigates how such law should be in order to enhance legal certainty as well as increase trust in e-commerce in Georgian legislation. This thesis, however, can not provide full and the final answer to all questions and challenges regard this issues, but is intended to identify the main aspects, and provide perspectives on how to deal with such issue.

Key words: Consumer protection. Electronic Transactions Law. Consumers rights on pre-contractual relationship. Withdrawal of offer.